ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

31099-01-2-201708240907

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/31099
24/08/2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ბ-ნ ზაზა სოფრომაძეს

ბატონო ზაზა,

როგორც მოგეხსენებათ, კორეის რესპუბლიკის მთავრობა აქტიურად ახდენს პარტნიორი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნულის მიზნით, 2004 წელს კორეის სტრატეგიის და ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა ცოდნის გაზიარების პროგრამა (Knowledge Sharing Program – KSP), რომელიც მიზნად ისახავს კორეის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. პროგრამა ხორციელდება მსოფლიოს 55 ქვეყანაში, სადაც დღემდე 860-მდე კვლევა ჩატარდა.

KSP-ის მთავარ ამოცანაა, ბენეფიციარი ქვეყნის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოახდინოს კონკრეტული პროექტების განხორციელების პროცესში არსებული გამოწვევების/ დაბრკოლებების ანალიზი და შეიმუშავოს რეკომენდაციები თუ ალტერნატიული მიდგომები. რეკომენდაციების შემუშავება ხდება კორეაში წარსულში არსებული მსგავსი შემთხვევების საფუძველზე. თანამშრომლობა გულისხმობს სამ მიმართულებას: კონსულტაციები პოლიტიკის დაგეგმვის მიზნით, სემინარების გამართვა და ექსპერტების/მრჩევლების წარგზავნა. პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად სფეროებია: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, ეკონომიკური კრიზისების მართვა, ფინანსური სერვისები, ადამიანური რესურსების განვითარება, ექსპორტის ხელშეწყობა, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა და ინფრასტრუქტურული განვითარება. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ სფეროები კორეაში გამორჩეულად წარმატებულია, რის საფუძველზეც ქვეყნა ახდენს გამოცდილების და ცოდნის გაზიარებას.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი ინფორმაცია და აღნიშნული მიმართულებით კორეის რესპუბლიკასთან თანამშრომლობით დაინტერესების შემთხვევაში, მოგვაწოდოთ შევსებული სა განაცხადო ფორმა (იხილეთ დანართში) არა უგვიანეს **მ.წ. 25 სექტემბრისა.**

დანართი: 24 გვერდი.

პატივისცემით,
დავით ჯალაღანია

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

მინისტრის მოადგილე